



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

პალიტოვი, როგორც კრემლის ინსტრუმენტი ჩარჩოთში  
სტაბილურობის შესაძლებლად

გიორგი პილანიშვილი

140

ეპსკონტის კონკი





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთიერთობათა კენების ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ეპსონტის აზრი

გიორგი ბილანიშვილი

კადიროვი, როგორც პრემიის ინსტრუმენტი ჩართოში  
სტაპილურობის შესანარჩუნებლად

140

2020



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების  
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში  
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და  
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის  
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,  
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული  
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს  
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის  
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

## შესავალი

ჩეჩენეთში სიტუაციის კონტროლს მოსკოვისთვის ძალი-ან მაღალი პოლიტიკური ფასი აქვს. ამ რესპუბლიკის დამოუკი-დებლობისკენ სწრაფვა, რომელმაც 90-იან წლებში საქმაოდ იმ-ძლავრა, მოსკოვისთვის არ იყო მხოლოდ ლოკალური მასშტაბის პრობლემა. იმ პერიოდში ფედერაციის საკმაოდ ბევრი სუბიექტი ცდილობდა ცენტრისგან დისტანცირებას და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. ფედერალური ხელისუფლების წარუმატებ-ლობამ ჩეჩენეთის პირველ საომარ კამპანიაში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააღმავა.

1999 წლის შემოდგომაზე, ჩეჩენეთში მეორე სამხედრო კამ-პანის დაწყებისას, ფედერალური ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ჩეჩენეთზე კონტროლის აღდგენა ხელს შეუწყობდა მისი შესუს-ტებული გავლენის აღდგენას ფედერაციის სხვა სუბიექტებზეც. შესაბამისად, ეს იქნებოდა წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთის ფედერაციაში სტაბილურობის დამყარებისა და ფედერალური ხელისუფლების ავტორიტეტის განსამტკიცებლად. მნვავე შიდაპოლიტიკური პრობლემის გადაჭრასთან ერთად, მოს-კოვის პოლიტიკური წონა და გავლენა გაიზრდებოდა საგარეო ასპარეზზეც, რაც ხელს შეუწყობდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში დაკარგული პოზიციებს აღ-დგენას.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რო-მელსაც ჩეჩენეთზე კონტროლის აღდგენა უნდა დავუკავშიროთ. კერძოდ, ჩეჩენეთის მეორე სამხედრო კამპანიაში წარმატებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვლ. პუტინის ხანგრძლივ პოლიტი-კურ კარიერას. ჩეჩენეთის პრობლემის მოგვარებაში გარდატეხის შეტანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლ. პუტინის მოსვლის საწყის ეტაპზე, როდესაც მისი გავლენა და ავტორიტეტი დიდი არ იყო. მართ-ლაც, ჩეჩენეთზე კონტროლის აღდგენა და მთლიანად ქვეყნის სტა-ბილიზაცია დღემდე ითვლება ვლ. პუტინის ერთ-ერთ მთავარ მიღ-წევად, რაც მის ავტორიტეტს და ძალაუფლებას მნიშვნელოვნად განამტკიცებს.

ჩვენი პუბლიკაციის მიზანია შევაფასოთ, რამდენად სერი-ოზულ პრობლემას წარმოადგენდა ჩეჩენეთი, რა როლი შეასრულა

კადიროვების კლანმა ჩეჩენეთის მეორე სამხედრო კამპანიის წარმატებაში, რამდენად მყარია ჩეჩენეთის სტაბილურობა დღეს და რამდენად მისაღებია ჩეჩენეთში შექმნილი ვითარება ფედერალური ცენტრისთვის.

## ფედერალური ცენტრი და სუბიექტები მე-20 საუკუნის 90-იან წლებში

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემების მომძლავრების ფონზე, რუსეთში მკაფიოდ გამოიკვეთა სეპარატისტული ტენდენციები. ჯერ კიდევ 1990 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში მაშინდელი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალმა 10-ზე მეტმა პოლიტიკურმა ერთეულმა მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის თაობაზე, რასაც „სუვერენიტეტის აღლუმი“ ეწოდა.

ამ პერიოდში თანდათან პოპულარული ხდება ე.ნ. დომინოს თეორია. ამ თეორიის თანახმად, რუსეთის ტერიტორიული მთლიანობა მჭიდროდ უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიას, რადგან სეპარატისტული ძვრები ამ რეგიონში ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი ძალებისა და სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურებას ვოლგა-ურალის რეგიონში არსებულ მუსლიმურ რესპუბლიკებში.<sup>1</sup>

ამ ფონზე ჩეჩენეთი, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, 1991 წლის ნოემბერში, გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ხდება რუსეთის ფედერაციის კოლაფსის სიმბოლო, რუსეთის სახელმწიფოს შეურაცხყოფისა და დამცირების სინონიმი.<sup>2</sup>

1992 წლის თებერვალში ელცინის მთავრობამ სცადა რეგიონებთან არსებული პრობლემები ახალი ფედერალური შეთანხმებით მოეგვარებინა. ეს შეთანხმება სხვადასხვანაირად არეგულირებდა ფედერალური ცენტრის ურთიერთობებს ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებთან და სხვა სტატუსის მქონე სუბიექტებთან (მხარე, ოლქი, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური ოკუუგი, ფედერალური ქალაქი). ეს მცდელობა არცთუ წარმატებული გამოდგა. ჩეჩენეთისა და თათრეთის რესპუბლიკებმა უარი განაცხადეს ამ შეთანხმების ხელმოწერაზე. ხოლო ბაშკირეთისა და სახას რესპუბლიკებმა (იაკუტია) მკაცრად გააკრიტიკეს იგი. პრეტეზიტი ჰქონდათ ფედერაციის სხვა სუბიექტებსაც, რომლებმაც ნახეს, რომ ფედერალური შეთანხმება

გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რესპუბლიკის სტატუსის მქონე სუბიექტებს.<sup>3</sup>

ამის შემდეგ, ჯერ კიდევ ჩეჩენთის პირველ ომამდე, გამოიკვეთა ფედერალურ ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესების ტენდენცია. ფედერაციის სუბიექტთა გარკვეული ნაწილი უარყოფითად შეხვდა 1993 წლის ახალ კონსტიტუციას, რომელიც ფედერალური ცენტრისა და ფედერალური სუბიექტების უფლებამოსილებათა გამიჯვნის ახალ მცდელობას წარმოადგენდა. ფედერაციის იმ სუბიექტებმა, რომელებიც უკვე მიერთებული იყვნენ ფედერალურ შეთანხმებას, ამჯერად ახალი კონსტიტუციის გარკვეული ხორმები გააპროტესტეს, რადგან ჩათვალეს, რომ ისინი წინააღმდეგობაში მოდიოდნენ მათ მიერ უკვე ხელმოწერილ ფედერალურ შეთანხმებასთან.<sup>4</sup>

ჩეჩენთის გარდა, ფედერალური ცენტრი ყველაზე მეტ პრობლემას თათრეთთან აწყდებოდა. სიტუაციის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით ელცინის მთავრობამ გადაწყვიტა 1994 წლის თებერვალში ორმხრივი შეთანხმება გაეფორმებინა ამ რესპუბლიკასთან.<sup>5</sup>

ამავე პერიოდში მოსკოვს არაერთი მცდელობა ჰქონდა, რაიმე ფორმით მოეგვარებინა ჩეჩენთის პრობლემაც. მათ შორის, 1994 წლის ზაფხულში რუსეთის სპეცსამსახურებმა უშედეგოდ სცადეს ჩეჩენთში ხელისუფლების დამხობა.<sup>6</sup>

ჩეჩენთის პირველმა ომმა, რომელიც 1994 წლის მიწურულს დაიწყო, კიდევ უფრო ძირითად უბიძგა რუსეთის სხვადასხვა რეგიონს მოეთხოვათ ფედერალურ ცენტრთან ურთიერთობების თაობაზე ორმხრივი შეთანხმების გაფორმება.<sup>7</sup> თათრეთის მსგავსად, ფედერალურ ხელისუფლებას ორმხრივი შეთანხმების გაფორმება მოუწია სახას (იაკუტია) რესპუბლიკასთან, ბაშკირეთთან, ნიუნი ნოვგოროდთან, ეკატერინბურგთან, პეტროგრადის მისამართან, კალინინგრადთან, ლენინგრადის ოლქთან და სანქტ-პეტერბურგთან. 1998 წლისთვის ფედერალურ ცენტრს ფედერაციის სუბიექტების ნახევართან ჰქონდა გაფორმებული ორმხრივი შეთანხმება. ფედერაციის ბოლო ასეთი სუბიექტი, რომელთანაც ფედერალურმა ცენტრმა ორმხრივი შეთანხმება გააფორმა თავად ქალაქი მოსკოვი იყო.<sup>8</sup>

ზემოხსენებული პრობლემების ფონზე, რუსეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა შიშობდა, რომ ქვეყანას კვლავ

უდგებოდა უდიდესი სირთულეების პერიოდი (смутное время)\* და, შესაბამისად, კოლფასის საფრთხის წინაშე დგებოდა.

ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის გამონვევა ვლადიმერ პუტინსაც ჰქონდა გაცნობიერებული ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 1999 წლის აგვისტოში პრემიერ-მინისტრი გახდა.<sup>9</sup> იგი მიიჩნევდა, რომ რუსეთის ფედერაცია იუგოსლავის მსგავსად იშლებოდა ნაწილებად. თუკი დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდებოდა ამ პროცესის შეჩერება, რუსეთის ფედერაცია არსებობას შეწყვეტდა. პუტინის აღქმით, ჩეჩენეთში კონტროლის დამყარებას განსაკუთრებული – საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ფედერაციის მომავლისთვის.<sup>10</sup>

## კრემლის სტრატეგია და კადიროვის კლანი

ჩეჩენეთის კონფლიქტის მოგვარების კრემლის სტრატეგია ცნობილია „ჩეჩენიზაციის“ სახელწოდებით. იგი ორ ძირითად კომპონენტს მოიცავდა: 1) ჩეჩენეთის კონფლიქტის შიდა ჩეჩენურ დაპირისპირებად გადაქცევას და 2) რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებაზე პასუხისმგებლობის ადგილობრივი სტრუქტურებისთვის გადაბარებას.

ამ სტრატეგიის განხორციელებისთვის საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა ჩეჩენეთში ალტერნატიული ძალის ცენტრის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ მიზნით, ჩეჩენეთის პირველი ომის დაწყებამდე, 1994 წლის ნოემბერში, მოსკოვმა მოახდინა დუდაევის ოპოზიციის მობილიზება. ამის შემდეგაც ჰქონდა კრემლს ჩეჩენეთში ალტერნატიული ხელისუფლების ჩამოყალიბების მცდელობა, რისთვისაც მოსკოვიდან ჩეჩენეთში წარგზავნეს ჩეჩენური წარმოშობის ჩინოვნიკები. თუმცა, მოსკოვს ვერც ერთმა ამ მცდელობამ წარმატებული შედეგი ვერ მოუტანა.<sup>11</sup>

ზემოხსენებული წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, 1999 წელს ჩეჩენეთში მეორე ომის დაწყებამდე, მოსკოვს არც ერთი ჩეჩენური კლანის მხარდაჭერის აქტიური მცდელობა აღარ ჰქონია. თუმცა, გარკვეულ კანდიდატებთან გარკვეული კონტაქტები მყარდებოდა.<sup>12</sup>

ლოგიკურად, ამ პერიოდში რუსეთის სადაზვერვო სამსახურების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ჩეჩენეთში ისეთი ძალის

\* ასე მოიხსენიება რუსეთის ისტორიის მე-16 საუკუნის დასასრულისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის პერიდი, როდესაც რიურიკების დინასტიის უკანასკნელი მეფის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში დაიწყო აჯანყებები, სხვა ქვეყნების შემოტევები და დიდი შიმშილობა, რის შედეგადაც ქვეყანას კოლაფსი საფრთხე დაუდგა.

მოძიება წარმოადგენდა, რომელიც ადგილზე კრემლის საიმედო დასაყრდენი გახდებოდა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ჩეჩინეთის წინააღმდეგობის მოძრაობის დამარცხებაში. რადგან მოსკოვიდან წარგზავნილმა ძალებმა ვერ გაამართლეს, აქცენტი რომელიმე ძლიერ ადგილობრივ კლანზე უნდა გაკეთებულიყო. ასეთი ძალა კი მხოლოდ წინააღმდეგობის მოძრაობის შეგნით მომხდარი განხეთქილების შედეგად შეიძლება გამოკვეთილიყო.

ამრიგად, წარმატების მისაღწევად კრემლი უნდა გარიგებოდა ისეთ ლიდერს, რომელიც წარსულში ფედერალური ცენტრის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ახლა მზად იყო მოსკოვთან ეთანამშრომლა. სწორედ ასეთი იყო ახმად კადიროვი, რომელიც ჩეჩინეთის პირველ ომში ფედერალური ძალების წინააღმდეგ იბრძოდა და 1995 წელს რუსეთს „წმინდა ომი“ – ჯიშადი გამოუცხადა.<sup>13</sup>

ჩეჩინეთის პირველი ომის დასრულების შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში არ დასტაბილურებულა. გალრმავდა შიდა დაპირისპირებები, რაც გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკურ კრიზისში, შეიარაღებულ შეტაკებებსა და ორხელისუფლებიანობაში გადაიზარდა.

ამ ფონზე, 1999 წელს ახმად კადიროვს ჩეჩინეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა ჰქონდა. იგი მასხადოვის ძალოვანი სტრუქტურების უმეტესობას შეეკრა და ერთდროულად მასხადოვისა და ბასაცვის წინააღმდეგ გამოვიდა.<sup>14</sup>

ამ ქმედებით კადიროვი ერთდროულად დაუპირისპირდა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩეჩინეთის ხელისუფლების როგორც სეკულარულ, ისე ისლამისტურ ნაწილს, რაც კრემლისთვის იდეალური ვარიანტი აღმოჩნდა.

გარდა იმისა, რომ კადიროვი ჩეჩინეთში ერთ-ერთი კლანის ლიდერი იყო, რომელსაც საკუთარი შეიარაღებული დაჯგუფება ჰყავდა, კრემლისთვის კიდევ ერთი ასპექტით იყო ძალიან საინტერესო და ხელსაყრელი მოკავშირე. იგი ჩეჩინეთის მუფტი, ანუ სულიერი ლიდერი იყო. შესაბამისად, მის ბრძოლას იმ პერიოდში ჩეჩინეთში მომძლავრებული სალაფიტური მიმდინარეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. მოსკოვისთვის ეს იყო ძლიერი არგუმენტი, რომ ეჩვენებინა, როგორ იბრძოდა „ტრადიცული ისლამის“ წარმომადგენლების მხარდამხარ რადიკალური ისლამისტების წინააღმდეგ. ნიშანდობლივია ისიც, რომ 2000 წლების დასაწყისიდან რუსეთის ფედერაციაში ჩამოყალიბდა ტერმინი – „ტრადიციული რელიგია“, რომელსაც სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებდა და შესაბამისად, იცავდა კიდეც.<sup>15</sup>

ჩეჩინეთში მეორე სამხედრო კამპანიის დაწყებიდან მოყოლე-ბული, ოფიციალური მოსკოვი სწორედ იმაზე აკეთებს აქცენტს, რომ იგი ჩეჩინეთში საერთაშორისო ტერორიზმს ებრძის და ამ ბრძოლაში კადიროვის როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამას ადასტურებს თუნდაც კლინტონსა და ელცინის საუბრების ჩანაწერები,<sup>16</sup> რომელიც ჩეჩინეთში მეორე სამხედრო კამპანიის დაწყებას ემთხვევა. კერძოდ, გასაჯაროებული დოკუმენტებში, ელცინი ხაზგასმულად ლაპარაკობს ტერორიზმთან და ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლაზე ჩეჩინეთში. ასევე ახსენებს ჩეჩინეთის მუფტის (კადიროვის) გადასვლას რუსეთის ფედერალური ძალების მხარეზე, როგორც საყურადღებო და მნიშვნელოვან მოვლენას ჩეჩინეთის კონფლიქტის დარეგულირების კონტექსტში.

გარდა იმისა, რომ გაამყარა ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე კრემლის ნარატივი, კადიროვის კლანმა სერიოზული წვლილი შეიტანა წინააღმდეგობის მოძრაობის ფიზიკურ განადგურებაში. კადიროვის ხელისუფლება წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლებს სთავაზობდა ამნისტიას. ამასთან, ამნისტირებულ მებრძოლებს იარაღის ჩაბარებას არ სთხოვდნენ. ისინი სამსახურს განაგრძობდნენ კადიროვის ხელისუფლების დაქვემდებარებაში არ-სებულ სხვადასხვა გასამხედროებულ ფორმირებაში. მაგალითად, ა. კადიროვის უსაფრთხოების სამსახურის შევსება ძირითადად სწორედ არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების წევრებით ხდებოდა.<sup>17</sup>

ამავდროულად, უკიდურესად ხისტი პოლიტიკა იყო გამოყენებული მათ მიმართ, ვინც უარს ამბობდა ამნისტიაზე და წინააღმდეგობის მოძრაობაში რჩებოდა. კერძოდ, უკლავდნენ ან უწამებდნენ ნათესავებს და რეპრესირებული ჰყავდათ. თავად კადიროვების ტერორი ბევრად უფრო ეფექტის მომცემი და შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის ფედერალური ძალების მოქმედება.<sup>18</sup>

არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, თუ საერთო ჯამში რამდენი მებრძოლი გადავიდა ფედერალური ხელისუფლების მხარეს. 2015 წლის გაზაფხულზე რამზან კადიროვის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, მათი რაოდენობა 7 000 აღნევდა.<sup>19</sup>

ამ პოლიტიკის შედეგად მოსკოვმა, როგორც მინიმუმ, ორ დიდ მიზანს მიაღწია:

1. გაანადგურა წინააღმდეგობის მოძრაობა ჩეჩინეთში და დაასტაბილურა სიტუაცია;

2. მოახდინა წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტაცია და ჩეჩენეთის მეორე სამხედრო კამპანია ტერორიზმთან ბრძოლად წარმოაჩინა.

## პუტინისა და კადიროვის შეთანხმება

პუტინის და კადიროვის შეთანხმების გასააზრებლად მნიშვნელოვანია ერთი ეპიზოდი, რომელიც ჯერ კიდევ ჩეჩენეთის მეორე ომის დასაწყისში მოხდა. კერძოდ, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ახმად კადიროვის კაბინეტში სატელეფონო ზარი გაისმა.

ა. კადიროვს, რომელიც იმ დროს კრემლის მიერ ჩეჩენეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე იყო დანიშნული, მიცემული ჰქონდა მითითება, რომ არავის შეენუხებინა. მიუხედავად ამისა, იგი იძულებული გახდა ზარისთვის ეპასუხა, რადგან კრემლიდან რეკავდნენ. ტელეფონზე საუბრისას ახმად კადიროვმა მოსაუბრეს რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა – „არა, ასე გადაეცით, რომ არავითარი სურკოვი! მე მხოლოდ პრეზიდენტ პუტინს ვხვდები“.<sup>20</sup>

მოვლენათა შემდგომი განვითარება გვაფიქრებინებს, რომ „მხოლოდ პუტინთან“ ურთიერთობების ფაბულა მარტო კონკრეტულ სატელეფონო საუბარს არ ეხება. იგი ჩამოყალიბდა, როგორც მოსკოვისა და გროზნოს ურთიერთობების ერთგვარი მოდელი. იმ ეპიზოდიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგაც, უკვე რამზან კადიროვს, საკუთარი მამის კვალდაკვალ, არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება პუტინთან. მისივე სიტყვების თანახმად, იგი პრეზიდენტის (ვლ. პუტინის) უსაზღვროდ ერთგულია, ისე, როგორც სხვა არავინ. მან თავად აირჩია უმაღლესი მთავარსარდალი და მისი ერთგული რჩება, როგორც სამსახურში, ისე ცხოვრებაში.<sup>21</sup>

შესაბამისად, ფედერალური ცენტრისა და ჩეჩენეთის ურთიერთობების მოდელი, რომელიც პუტინის მმართველობის პირველივე წლებიდან იღებს სათავეს, დღემდე მთლიანად პუტინსა და კადიროვს შორის ლოიალობის პაქტს ეყრდნობა.<sup>22</sup> ამ პაქტის ფარგლებში, კადიროვმა უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა ჩეჩენეთში და აღიაროს პუტინის უმაღლესი ძალაუფლება. პუტინმა კი უნდა უზრუნველყოს კადიროვის მხარდაჭერა, რათა მის ძალაუფლებას რაიმე ტიპის საფრთხე არ შეექმნას. მხარდაჭერა მოიცავს ფედერალური ცენტრის ფინანსურ ასიგნებებსა და ხელშეუხებლობის გარანტისა კადიროვისთვის, რომელზეც ეჭვია, რომ დაკავშირებული უნდა იყოს სხვადასხვა მძიმე დანაშაულთან.

პუტინი-კადიროვის პაქტის ფარგლებში რეალურად ჩამოყალიბდა ურთიერთობების ფეოდალურ-კოლონიალური კონსტიტუცია, რომლითაც ერთ-ერთი ჩეჩენური კლანი იღებს მასშტაბურ მხარდაჭერას და განსაკუთრებულ პრეფერენციებს მეტროპოლიისგან ლიოალობისა და გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ.<sup>23</sup>

ეს ჩეჩენური კლანი საკმაოდ რთული კონფიგურაციისაა. მის სათავეში მყოფი რამზან კადიროვი ეყრდნობა როგორც თავის უშუალო მეგობრებს, თანასოფლელებს, თავისი თაობის ადამიანებს, რომლებიც კადიროვის მადლიერნი არიან ყველაფრისთვის, რაც კი გააჩნიათ. ამავე დროს, კლანის უმნიშვნელოვანესი წევრები არიან ისინიც, ვინც ჯერ კიდევ ახმად კადიროვის თანაგუნდელებად მიიჩნედნენ.<sup>24</sup>

მოსკოვში კარგად იციან ჩეჩენეთის სტაბილურობის ფასი. მაგრამ ამავე დროს კარგად აცნობიერებენ, რომ რ. კადიროვის მმართველობის პირობებში რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, ჩეჩენეთი, გადაიქცა რ. კადიროვის პირად დაქვემდებარებაში არსებულ „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად“. თავად ვლ. პუტინის უახლოესი გარემოცვაც კი სვამს შეკითხვას, თუ რა დონეზე ვრცელდება ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პირობებში ჩამოყალიბებული ძალაუფლების ვერტიკალი ამ „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე“.<sup>25</sup>

ამ და სხვა სერიოზული მიზეზების გამო რ. კადიროვი ვერ იქნება მისაღები და სანდო ფიგურა ფედერალური ცენტრისთვის. გასაკვირი არ არის, როდესაც სხვადასხვა პუბლიკაციაში საუბარია იმაზე, რომ კადიროვის მიმართ კეთილგანწყობით არ გამოირჩევა რუსეთის ელიტა, განსაკუთრებით კი, რუსეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები. მიუხედავად ამისა, იგი უკვე მრავალი წელია ჩეჩენეთის რესპუბლიკის მეთაურის პოსტს ინარჩუნებს.

ხშირად, როდესაც მსჯელობენ კადიროვის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაზე, ხაზს უსვამენ, რომ ამ გადაწყვეტილებამ შესაძლოა ჩეჩენეთში ახალი ფართომასშტაბიანი კონფლიქტი გამოიწვიოს. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ კადიროვს ექვემდებარება კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული დაახლოებით 20-30 ათასამდე სამხედრო, რომელსაც ხშირად მის პირად არმიად მოიხსენიებენ.<sup>26</sup>

ჩეჩენეთში ახალი, შესაძლო დესტაბილიზაცია კი საკმაოდ სერიოზული პრობლემა იქნება ფედერალური ცენტრისთვის. რუსეთის ეროვნული გვარდიის დოკუმენტის თანახმად, ჩეჩენეთის დესტაბილიზაცია მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის დესტაბილიზაციას გამოიწვევს და ასეთ შემთხვევაში საჭირო

გახდება ფედერალური ცენტრის მხრიდან ეროვნული გვარდიის 100 000 მებრძოლისა და დამატებით 50 000 სამხედროს მობილიზება რეგულარული სამხედრო დანაყოფებიდან.<sup>27</sup>

ახლა, მოდი, გვერდზე გადავდოთ მოვლენების ზემოთ წარმოდგენილი რადიკალური განვითარების სცენარი, რათა პრობლემას სხვა კუთხიდანაც შევხედოთ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩეჩენეთში სტაბილურობა ერთი (კადიროვის) კლანის დომინანტურ მმართველობას ემყარება, რომელიც ჯერ კიდევ 2000-ანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. რამზან კადიროვი საკუთარი მამის – ახმად კადიროვის პოლიტიკური მემკვიდრეა, რომლის ძალაუფლებასაც ჩეჩენეთში არსებული სხვა კლანები აღიარებენ ან იძულებით ეგუებიან. კადიროვი კი, თავის მხრივ, პუტინის უზენაესობას აღიარებს.

კრემლმა, შესაძლოა, მარტივად მოძებნოს ახალი კანდიდატი, რომელიც აღიარებს ვლ. პუტინის უზენაესობას, მაგრამ სერიოზული კითხვაა, რამდენად აღიარებენ მის უზენაესობას ჩეჩენეთში.

## დასკვნა

დღეს ფედერალური ცენტრი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ელცინის მმართველობის პერიოდში იყო და ფედერაციის სუბიექტებზე გავლენისა და მათი მართვის ბევრად უფრო მყარი ბერკეტები აქვს. თუმცა მაინც რჩება სერიოზული კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მყარია ის შიდაპოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც რუსეთის ფედერაციაში ვლ. პუტინის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა. ამას ჩეჩენეთის მაგალითიც ადასტურებს, სადაც რუსეთის ელიტების საკმაოდ გავლენიანი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, რ. კადიროვი დღემდე ერთპიროვნულ ლიდერად რჩება.

საერთო ჯამში, ჩეჩენეთის და მთლიანად რუსეთის პრობლემას ერთმანეთთან საკვანძო საკითხი აერთიანებთ. რუსეთის კულტურული მილწევა, იქნება ეს შიდა თუ საგარეო პოლიტიკა, უშუალოდ ვლადიმერ პუტინის ფიგურას უკავშირდება. ჩეჩენეთში სტაბილურობის შენარჩუნება კი – კადიროვს. ორივე შემთხვევაში მივდივართ კონკრეტულ პიროვნებებთან და არა სახელმწიფოს მართვის სისტემასთან. შესაბამისად, რთულია იმაზე საუბარი, რომ ჩეჩენეთისა თუ მთლიანად რუსეთის მმართველობის მოდელი შეესაბამება რუსეთის ფედერაციის ინტერესებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

## ბიბლიოგრაფია

1. Jakob Hedenskog, Erika Holmquist and Johan Norberg. "Security in the Caucasus - Russian policy and military posture". FOI-R--4567—SE. February 2018. Pp. 16; (Accessed 27/09/2018).
2. Maciej Falkowski. "Ramzanistan – Russia's Chechen Problem". Centre for Eastern Studies OSW. Number 54, Warsaw, August 2015. Pp. 8. (Accessed 05/09/2018).
3. Fiona Hill, Clifford G. Gaddy. "The Siberian Curse - How Communist Planners Left Russia Out in the cold". BROOKINGS INSTITUTION PRESS, Washington, D.C. 2003. Pp. 111.
4. იქვე, გვ. 111-112.
5. Fiona Hill, Clifford G. Gaddy. "Mr. Putin – operative in the Kremlin". Paperback edition, 2015. Pp. 30.
6. იქვე.
7. იქვე, გვ. 31.
8. Fiona Hill, Clifford G. Gaddy. "The Siberian Curse - How Communist Planners Left Russia Out in the cold". BROOKINGS INSTITUTION PRESS, Washington, D.C. 2003. Pp. 112.
9. Maciej Falkowski. "Ramzanistan – Russia's Chechen Problem". Centre for Eastern Studies OSW. Number 54, Warsaw, August 2015. Pp. 8. (Accessed 05/09/2018).
10. Steven Lee Myers. "The New Tsar - The rise and rein of Vladimir Putin. First vintage books edition, August 2016. Pp. 153.
11. Вадим Дубнов. «Проект «Чечня 2.0». Рамзан Кадыров Перезаключил Свой Договор с Российской Властью.» Московский центр Карнеги. Март 2016. Pp. 2 (Accessed 12/10/2018).
12. იქვე.
13. Илья Яшин, "Угроза национальной безопасности". Независимый экспертный доклад. 02.2016. Pp. 5. (Accessed 03/11/18).
14. Idib Pp. 6. (Accessed 03/11/18).
15. Alexander Verkhovsky. "The state Against Violence in Spheres Related to Religion". "Religion and violence in Russia – context, manifestation and policy". Editor Olga Oliker. Center for Strategic and International Studies. June, 2018. Pp. 13 (Accessed 11/09/2018).
16. Memorandum of Telephone Conversation. September 8, 1999, 11:42 a.m.–12:21 a.m.; Memorandum of Conversation. Meeting with Russian President Yeltsin. November 19, 1999, 10:45 a.m.-11:40 a.m. Istanbul, Turkey.
17. Илья Яшин, "Угроза национальной безопасности". Независимый экспертный доклад. 02.2016. Pp. 6. (Accessed 03/11/18).

18. Maciej Falkowski. "Ramzanistan – Russia's Chechen Problem". Centre for Eastern Studies OSW. Number 54, Warsaw, August 2015. Pp. 13. (Accessed 05/09/2018).
19. Вадим Дубнов. «Проект «Чечня 2.0». Рамзан Кадыров Перезаключил Свой Договор с Российской Властью.» Московский центр Карнеги. Март 2016. Pp. 7 (Accessed 12/10/2018).
20. өјзә, 83.1.
21. Это вам я, Рамзан Кадыров, говорю! 28 ноября 2016. [www.tass.ru/opinions/top-officials/3800049?page=4](http://www.tass.ru/opinions/top-officials/3800049?page=4) (Accessed 17/09/2018).
22. Uwe Halbach. "Chechnya's Status within the Russian Federation - Ramzan Kadyrov's Private State and Vladimir Putin's Federal "Power Vertical". Stiftung Wissenschaft und Politik. Research Paper 2. May 2018. Pp (Accessed 18/09/2018).
23. Вадим Дубнов. «Проект «Чечня 2.0». Рамзан Кадыров Перезаключил Свой Договор с Российской Властью.» Московский центр Карнеги. Март 2016. Pp. 1 (Accessed 12/10/2018).
24. "Чечня престолов: кто и как управляет республикой. Подробная карта". 25 июня 2018. [www.bbc.com/russian/features-44576739#backtotop](http://www.bbc.com/russian/features-44576739#backtotop) (Accessed 27/08/2018).
25. Uwe Halbach. "Chechnya's Status within the Russian Federation - Ramzan Kadyrov's Private State and Vladimir Putin's Federal "Power Vertical". Stiftung Wissenschaft und Politik. Research Paper 2. May 2018. Pp. 5. (Accessed 18/09/2018).
26. Marlene Laruelle. "Kadyrovism: Hardline Islam as a Tool of the Kremlin?" Ifri – Russia/NIS Center. March, 2017. Pp. 14 (Accessed 17/09/2018).
27. Mark Galeotti. "Is Chechnya's Kadyrov really 'dreaming' of quitting?" 28 Nov 2017 [www.aljazeera.com/indepth/opinion/chechnya-kadyrov-dreaming-quitting-171128063011120.html](http://www.aljazeera.com/indepth/opinion/chechnya-kadyrov-dreaming-quitting-171128063011120.html) (Accessed 11/09/2018).